საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№01/14 „14“ აგვისტო 2014 წ.

შ.პ.ს. ”სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ”-ის
დირექტორს, ბატონ დავით ზუბიტაშვილს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქუჩა №81-ში მდებარე ავტომობილების გაზით გასამართი სადგურის ადმინისტრაციულ შენობას მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და რეკონსტრუქციის შესაძლებლობის მიზნით. პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. ”აი სი გრუპი”-ს მიერ. მიმდინარე წელს.

არსებული ადმინისტრაციული შენობა ერთ სართულიანია, გეგმაში რუსული ასო Г-სებრი მოხაზულობის (მოშენების ფართობით A=49.40მ².). შენობის სართულის სიმაღლეა 300სმ. შენობა კონსტრუქციულად მზიდ კედლებიანია ნაშენი 20სმ. სისქის წვრილი საკედლე ბლოკის წყობით ცემენტ-ქვიშის ხსნარზე. გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 15სმ. ბურულის მასალა ფოლადის პროფილირებული ფენილი.

შემოწმებით დადგინდა, რომ შენობას რამდენედმე მნიშვნელოვანი დეფორმაციები და დაზიანებები არ გააჩნია და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი:

-„გ“და“4“ ღერძების გასწვრივ პერიმეტრზე უნდა მოეწყოს ახალი კედლები.

-„3“ ღერძის გასწვრივ, „გ“ ღერძის გადაკვეთამდე ასევე უნდა აიგოს ახალი განივი კედელი.

-„2“ ღერძის გასწვრივ, „ბ“-„გ“ ღერძებს შორის არსებულიკედელი უნდა დაიშალოს და აიგოს ახალი კედელი „2“ ღერძის მარცხნივ.

-„2“ და „ბ“ ღერძების გადაკვეთიდან „ბ“ გასწვრივ, ღერძებში „2“-„1“; უნდა აიგოს ახალი კედელი (გრძივი მიმართულება.

-რეკონსტრუირებული ნაწილი გადაიხურება არსებულის ანალოგიურად.

საკითხის შესახებ შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაო მიზანშეწონილია, შესაძლებელია და არ გამოიწვევს შენობისათვის უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/